სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ხოფერია

● №6 (4622) ● 27 ნოემბერი ● 2024 წელი ● saxgani@gmail.com ● ფასი 2.00 ლარი

106-ე სკოლელებო!

თქვენს გამარჯვებას გაუმარჯოს!

სევდიანი შესავალი

გაუგონარი უსამართლობა მოხდა. კაცი, რომელმაც თავისი ცხოვრება მიუძღვნა სკოლას, პედაგოგიურ საქმიანობას, საყვარელ საქმეს ერთი ხელის დაკვრით მოაშორეს. უფრო მეტიც, ცინიკურად დირექტორობის კონკურსშიც არ მიაღებინეს მონაწილეობა. ძლიერი სულიერი და ფიზიკური გამძლეობის კაცია **თენგიზ გულორდავა**. სხვა ვერავინ გაუძლებდა ამ შოკს.

ბატონმა თენგიზმა მოაძლიერა თბილისის მე-5 საჯარო სკოლა, ფენიქსებრ ააღორძინა გლდანულის 59-ე გაპარტახებული სკოლა. საკუთარი ტრანსპორტით მოჰქონდა სარემონტო მასალები, თავადაც ფიზიკურად ეხმარებოდა მუშებს. ამ სკოლაში კი, სხვის გაშლილ სუფრაზე დღეს **მაია ლელაშვილი** ნებივრობს.

უფრო დიდი საოცრება ისაა, რომ 106-ე სკოლა ზდაპრულ სასწავლო სამყაროდ, მეტად მოთხოვნად სკოლად აქცია. ინფრასტრუქტურის უაღრესად მაღალი დონე და სხვა მრავალი.

და ასეთი დირექტორი ავტორიზაციისას შემოწმებაზე გამოგზავნილმა ვიღაც უგულო მოხელემ თვალები დაიბრმავა, ყურები დაიხშო და **გრიგოლ კობახიძეზე** მეტი საქმის გამკეთებელი დირექტორი თავისი ჭკუით გააგდო. შენ, მავანო, ბალიშზე მშვიდად როგორ გძინავს ასეთი უსამართლობის მოქმედს!

მაშინვე გამოვაქვეყნე სტატია: „დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია?“

დიდ მადლობას ვუხდი პედკოლექტივს, რომელიც მტკიცედ დადგა „ვით მეტეხის კედელი“ და სხვის გაშლილ სუფრაზე სათამადოდ გამოგზავნილი კანდიდატი არ შემოუშვა. ბარაქალა თქვენ! სამართალმა პური ჭამა.

სკოლას ჰყავს ნიჭიერი პედაგოგი და ჟურნალისტი **ინა მეცხვარიშვილი**. სკოლის წარმატებას ხელს უწყობს ბიბლიოთეკარი **მაია ჯავახიშვილი**.

თბილისის 106-ე საჯარო სკოლამ, 2024-2025 სასწავლო წელი, ტრადიციულად, წარმატებულად და საამაყოდ დაიწყო: სკოლის ხელნძღვანელი, ბატონი **თენგიზ გულორდავა**, სწავლის პირველ დღეს, გულიანად შეეგება 1800-მდე მოსწავლესა და მათ მშობლებს. საზეიმოდ მიულოცა სასწავლო პროცესის დაწყება და კიდევ უფრო მრავალფეროვანი, საინტერესო და საამაყო სასკოლო დღეები უსურვა მოსწავლეებსა და თა-

ვის გუნდს. სკოლამ წელსაც 6 პარალელური პირველ კლასი გახსნა. მრავალფეროვანი სასწავლო გარემო, რომელსაც ქმნის მაღალკვალიფიციური პედგოგთა გუნდი სკოლის ხელმძღვანელთან ერთად, მშობელთა ნდობას იმსხურებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სკოლა, თავის რეგიონში, ძალიან მოთხოვნადი გახდა და გაითქვა სახელი.

სასწავლო წელი მასწავლებლების დიდი წარმატებით დაიწყო. სკოლას ჰყავს 2 მენტორი პედაგოგი - **გალინა მეცხვარიშვილი** და **ქეთევან მიქაძე**. ასევე წამყვანი პედაგოგები: **ჟანა ხარლაშვილი, მაკა ბაჩანაძე, თამთა ქვაჭრელიშვილი, მაიკო გურასაშვილი, მაია ზაალიშვილი, თამუნა ზირაქაშვილი, ლელა თენიეშვილი, თეკლა ჯაფოშვილი**-უფროსი; **ნინო მინაშვილი** - უფროსი; **ნონა ღვინიაშვილი**- უფროსი; **ნატა მუშკუდიანი**- უფროსი.

ბატონმა თენგიზმა, ასევე საზეიმოდ დააჯილდოვა საბაზისო საფეხურის წარმატებულად დასრულებისთვის სკოლის წარჩინებული მოსწავლეები და მათ დამსახურებული პერსონალური კომპიუტერები გადასცა, რომელიც მოსწავლეებმა პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში მოიპოვეს.

12გ კლასის მოსწავლეებიდან, რომელთა კლასის ხელმძღვანელი **ლალი ადამაშვილი** გახლდათ, ოქროს მედალოსნები არიან: **ბუჩუკური ლიზი, გელაშვილი ლიზი,ღურწკაია ალექსანდრა.**

ლიზი გელაშვილმა ჩააბარა „საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში“ 50% გრანტით, ღურწკაიამ ჩააბარა „ბენდუქიძეში“ 50 % გრანტით,ჯანაშიამ ჩააბარა „ჯავახიშვილში” 50 %გრანტით. **ბარბარე ერქვანია** „ჯავახიშვილში“ 50 % გრანტით.

12ბ კლასის მოსწავლეებიდან, რომელთა ხელმძღვანელიც გახლდათ ნანა ჭანტურია, წარმატებულად დაიწყეს სტუდენდობა:

აბესაძე გიორგი - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, გრანტი - 70 %;

დავითაძე დავით - ტექნიკური უნივერსიტეტი, ელექტროობა და ელექტროინჟენერია, გრანტი - 50%;

გორდულაძე ნიკოლოზ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გრანტი - 70 %;

მეტრეველი ბესარიონ - ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, გრანტი 50%.

სირაძე მარიამ - ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის საერთაშორისო ფაკულტეტი, გრანტი 70%

ჯომიდავა ნინო - ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, კომპიუტერული მეცნიერებების ფაკულტეტი, გრანტი 70 %.

106-ე საჯარო სკოლის **„ღირებულებითი განათლების კლუბის“** ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს საინტერესო შეხვედრები. კლუბის ხელმძღვანელები არიან მღვდელი **თეოდორე ფარნაშვილი** და სკოლის მასწავლებელი **ნინო ქეშელაშვილი**.

სკოლაში არსებულმა ეკოკლუბმა „მწვანე მცველებმა“ დიდი წარმატება მოიპოვეს „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის“ კონკურსში, რომელიც გახლავთ ეკოკლუბების კონკურსი. **„მწვანე მცველები“** დაკომპლექტებული იყო, ძირითადად, მეოთხეკლასელი მოსწავლეებით, რომლებმაც მთელი სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული მრავალფეროვანი გარემოსდაცვითი საქმიანობებით აიყოლიეს სასკოლო საზოგადოება და სკოლა კიდევ უფრო ეკომეგობრული გახადეს. კლუბის ხელმძღვანელი მასწავლებლები გახლდათ **ხათუნა გასიტაშვილი, მაიკო გურასაშვილი, თამთა ქვაჭრელიშვილი** და **გალინა მეცხვარიშვილი.** ოქტომბრის დასაწყისში, საქართველოს მასშტაბით, კონკურსში ჩართული ეკოკლუბების ფინალი გაიმართა, სადაც შეჯამდა კლუბების მიერ განხორციელებული საქმიანობები. ასმეექვსე სკოლის ეკოკლუბმა ფინალში საპატიო ადგილი დაიკავა და კონკურსის ჟიურის რჩეული გახდა, მათ გადაეცათ **„ბიბლუსის“** ვაუჩერი, რომლითაც სკოლის ბიბლიოთეკისთვის წიგნებს შეიძენენ, რომლებიც სკოლის ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი იქნება.

მიმდინარე წელს კი სკოლაში გარემოსდაცვითი საქმიანობების განხორციელება აქტიურად განაგრძო ეკოკლუბმა **„მწვანე ტალღა“, ნინო ქეშელაშვილის** ხელმძღვანელობით.

ერთად ვიზრუნეთ სკოლის ეზოს დასუფთავებაზე, შევაგროვეთ დიდი რაოდენობით სხვადასხვა ნარჩენი და დავახარისხეთ ცალ-ცალკე: პლასტმასას ბოთლები, თუნუქის ქილები, რკინის ნარჩენები, მინის ბოთლები და სხვა.

პლასტმასის ბოთლები „ტენეს“ მწვანე ყუთში ჩასაბარებლად.

ეკოკლუბელებმა და სხვა მოხალისე ბავშვებმა მორწყეს ახალი ნარგავები და ხეები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ყველაფერს მოსწავლეები აკეთებდნენ დიდი პასუხისმგებლობით, მონდომებითა და ხალისით, რისთვისაც მინდა სკოლის სახელით მადლობა გადავუხადო ამ პასუხისმგებლიან და შრომისმოყვარე პატარა მოქალაქეებს!

ერთად ვიზრუნეთ სკოლის ეზოს დასუფთავებაზე, შევაგროვეთ დიდი რაოდენობით სხვადასხვა ნარჩენი და დავახარისხეთ ცალ-ცალკე: პლასტმა-

გაგრძელება მე-2 გვ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

ადამიანები თავის ადგილზე

როცა საქმეს პროფესიონალები აკეთებენ

შპს კერძო სკოლა "ნკ" დაარსდა 1994 წელს წმიდა ნინოს სახელობის 47-ე სკოლის ბაზაზე. მისი დამფუძნებლები არიან ბატონი **ნუგზარ ყენია** და ქალბატონი **მანანა ელიზბარაშვილი-ყენია.**

სკოლის მისიაა აღზარდოს სწრაფადცვალებად გარემოში ადაპტირებადი ეროვნული ღირებულებების მქონე მოქალაქე; ჩამოაყალიბოს მოაზროვნე, მაძიებელი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლიანი თაობა.

აკადემიური პერსონალი სრულად მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და დაფუძნებულია სწავლა-სწავლების ინოვაციურ მიდგომებზე, ხოლო ინფრასტრუქტურული მოწყობა სასკოლო საზოგადოების მოთხოვნების შესატყვისია.

მოსწავლეები ინგლისურ ენას შეისწავლიან საგანმანათლებლო ორგანიზაცია "English Book Education"-ის მიერ მოწოდებული "Macmillan Education"-ის თანამედროვე სახელმძღვანელოებით. მათ უვითარდებათ ისეთი უნარ-ჩვევები, რაც საშუალებას აძლევთ საერთაშორისო გამოცდებზე – TOEFL Family Assessment – მიაღწიონ სასურველ შედეგებს.

სკოლა-ლიცეუმ „Macmillan Education-ის" მოსწავლეთათვის წარმატებით ხორციელდება ინგლისურენოვანი პროექტი „The King's and Queen's Club". ყმაწვილები კითხულობენ ინგლისურენოვან წიგნებს. მათი განხილვა მიმდინარეობს იმ უცხოელ მასწავლებელთან ერთად, ვისთვისაც ინგლისური მშობლიური ენაა.

წარმატებით ხორციელდება კომპიუტერული მეცნიერებების, პროგრამირებისა და ციფრული წიგნიერების საერთაშორისო პროგრამა CodeMonkey – საგანმანათლებლო პლატფორმა, რომლის მიზანია პროგრამირებისა და ციფრული წიგნიერების სწავლება მოსწავლეებისთვის ინოვაციური, სახალისო და საინტერესო გზით.

CodeMonkey-ის პლატფორმის დახმარებით მოსწავლეები სწავლობენ პროგრამირებისა და ქოდინგის კომპლექსურ პრინციპებს, ეუფლებიან პროგრამირების რეალურ ენებს, ქმნიან საკუთარ ციფრულ პროექტებს: თამაშებს, ანიმაციებს, ჭკვიან აპლიკაციებს ChatBot-ებს, STEM პროექტებს.

სკოლა მდებარეობს ვერის პარკში. ეკოლოგიურად სუფთა და სწავლისათვის იდეალური გარემოში.

პოზიტიური სასწავლო და აღმზრდელობითი გარემოს შექმნა სკოლის პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ მუდმივად ახდენენ ბულინგის პრევენციას. ნერგავენ ტოლერანტულ კულტურას და მოსწავლეებს სხვების მიმართ კეთილგანწყობას, განსხვავებული პიროვნებისა და აზრის პატივისცემას, ჰუმანიზმს, მოსმენის უნარს, თანაგრძნობასა და სხვისი განცდის გაზიარებას ასწავლიან.

დაცულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ფსიქოლოგიური და ფიზიკური უსაფთხოება, რადგან მხოლოდ უსაფრთხო გარემოში მყოფ მოსწავლესა და მასწავლებელს ძალუძთ პოტენციალისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენა.

სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით განაგრძობენ სწავლასა და მუშაობას მსოფლიოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელსა და საერთაშორისო ორგანიზაციაში.

ამ სასწავლო წელს სკოლა მნიშვნელოვანი სიახლეებით შეხვდა. სწავლა სრულიად განახლებულ სივრცეში დაიწყო. დაინერგა დაწყებით საფეხურზე ახალი საგნების შესწავლა: მხიარული ლოგიკა და ქცევის ეტიკეტი. გაფორმდა მემორანდუმი „ევროპის უნივერსიტეტთან". მემორანდუმი მასწავლებელთა პროფესიული ზრდის მიმართულებით ტრენინგებსა და მრავალფეროვან აქტივობას ითვალისწინებს. მემორანდუმის ფარგლებშივე დაიგეგმა შემეცნებითი და განმავითარებელი პროექტები.

გასული სასწავლო წელი დატვირთული იყო მრავალი სასკოლო ღონისძიებით, თეატრალური წარმოდგენით, შეხვედრით, საქველმოქმედო აქციით.

P.S. როცა საქმე ნამდვილად კეთდება და ამ საქმეს პროფესიონალები უდგანან სათავეში, თუნდაც ასეთი მცირე წერილიდანაც ცხადდება, როგორი მიზანმიმართული, შემოქმედებითი და კოლეგიალური ყოველდღიური მუშაობა მიმდინარეობს შპს კერძო სკოლა „ნკ"-ში". მით უფრო, ადვილად მისახვედრია, რაოდენი შრომა „იმალება" ამ მშრალი ჩამონათვალის მიღმა და არც ისაა რთული წარმოსადგენი, კიდევ რამდენ, ყმაწვილების სასიკეთოს ასწავლიან აქ, ამ სკოლაში.

გაზეთ „სახალხო განათლება+"-ის რედაქცია შპს კერძო სკოლა „ნკ"-ს დირექციას, პედკოლექტივს კვლავაც დიდ წარმატებებს უსურვებს მომავალი თაობების აღზრდის ესოდენ საპატიო, მაგრამ იმდენადვე ერთობ რთულ გზაზე.

ეკატერინე გურგენიძე

ნომრის სტუმარია 106-ე საჯარო სკოლა

პირველი გვერდიდან

სას ბოთლები, თუნუქის ქილები, რკინის ნარჩენები, მინის ბოთლები და სხვა.

ეკოკლუბელებმა და სხვა მოხალისე ბავშვებმა მორწყეს ახალი ნარგავები და ხეები.

დასუფთავების აქციაში მონაწილე ყველა მოსწავლე თვის ბოლოს დაჯილდოვდება სერტიფიკატით.

ფინანსური განათლების კლუბი „ფინედუს დესპანები" აქტიურად იწყებს მუშაობას და ცნობიერების ამაღლების მიზნით მათ მიერ ჩატარებული აქტივობები უკვე დაწყებულია.

ნოემბრის თვე ეძღვნება დაზოგვას, სწორედ დღეს გაიცნეს მოსწავლეებმა დაზოგვის მნიშვნელობა და დანაზოგის არ შემთხვევაში გამოწვეული პრობლემებისა და მისი აღმოფხვრის გზებზე სხვადასხვა აზრი წარმოადგინეს კლუბის ფარგლებში მიღებულ ცოდნას და უნარებს მოსწავლეები გაუზიარებენ სასკოლო საზოგადოებას. ხელმძღვანელი: **თამარ გეგიძე.**

დიდი მიზანი უკვე სანახევროდ მიღწეულია. სასწავლო წლის ბოლოს გამარჯვებას ვზეიმობთ.

აი, ასეთი, აი, ასეთი მწამს სკოლა და კოლექტივი მისი!

ინა მეცხვარიშვილი

პატარა ასპარეზზე დიდი საქმეები კეთდება

ოქრო პატარაა, მაგრამ რამდენ რკინას იწონის? ეს ისტორიული სკოლაა თავისი ტრადიციებით, მიღწევებით. სკოლის დირექტორი **ლია გაბინაშვილი**, მოადგილე **ნათია დონდუაშვილი** ძალღონეს არ იშურებენ წარმატების მისაღწევად. რა თქმა უნდა, მათ ერთგულად მხარში უდგანან გამოცდილი მასწავლებლები.

დღეს ურთულესი პირობების წინაშე დგანან, მაგრამ მაინც არიან „გულითა გაუტეხელნი, მოუღალავნი მკლავითა“. სხვის შენობაში არიან შეხიზნულნი, რაც ფსიქოლოგიურადაც მძიმე წნეხია. მთავრობა შეჰპირდა ახალ შენობას. იმედი მაქვს და ყველას აქვს, რომ ამ პირობას მოკლე ვადაში შეასრულებენ.

ორმაგად სასიხარულოა ჩემთვის **ლია გაბინაშვილის** გაცნობა. ორივე პედაგოგი და ჟურნალისტი ვართ. „მაშ, გამარჯობა თანამშრომლობავ, ვიქნებით ერთად ჩვენ განუყრელნი!“

***

უფრო კონკრეტულად ამ სკოლის მაჯისცემაზე ქვემოთ მოგითხრობთ.

მაღალ შედეგებზე ორიენტირებულნი

სკოლის დირექტორი **ლია გაბინაშვილი**, მოადგილე **ნათია დონდუაშვილი**, წამყვანი პედაგოგები: **რუსუდან გამყრელიძე; მზია სურმავა; ლუდმილა მერებაშვილი; ფიქრია წიკლაური; მარი ქვრივიშვილი; მაკა შაკიაშვილი; მანანა მნათობიშვილი.**

გასულ სასწავლო წელს გვყავდა 7 ოქროს მედალოსანი.

ეროვნული ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში ჩატარდა ვიქტორინა **“თბილისის შესახებ”,** რომელიც მოიცავდა ისტორიას, კულტურას, არქიტექტურას და ტრადიციებს.

ჩვენი სკოლის გუნდმა მოიპოვა პირველი ადგილი. მონაწილე მოსწავლეები დაჯილდოვდნენ ბაკურიანში ზამთრის სასწავლო შემეცნებით ბანაკში საგზურებით და სხვა საჩუქრებით. ისტორის პედაგოგი **თინა გიორგაძე.**

გამარჯვებული მოსწავლეები არიან: **თეკლა ტატუნაშვილი** - 11ა კლასი, **ელენე ქსოვრელი** - 11ა კლასი, **თეკლა არაბული** - 11ა კლასი, **ნინო კობახიძე** - 11ბ კლასი, **გიგი პატარაშვილი** - 11ბ კლასი.

საუკუნეების წინ არჩილ მეფე ბრძანებდა, “ჩვენ იმ ერის წარმომადგენლები ვართ, რომელიც მარადიულად ილტვოდა სიბრძნისაკენ, ცოდნისაკენ”.

113-ე საჯარო სკოლა თავისი წარსულით, ისტორიით გამორჩეულია. სკოლა, რომელიც აგრძელებს ტრადიციებს და ხელს უწყობს იმ სიახლეებს, რომელიც ბოლო ათეული წლებია ინერგება სისტემაში. მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობით ადვილდება იმ შედეგების მიღწევა, რომელიც აქტუალური და აუცილებელია მოზარდების სრულყოფილი განათლების მისაღებად.

სკოლას ჰყავს პროფესიონალი და გამოცდილი კადრები, ამასთან სკოლის დირექციასა და

პედკოლექტივს გაცნობიერებული გვაქვს ეს რთული მისია და დიდი სიფრთხილით ვეკიდებით მოზარდის აღზრდის საკითხებს. სკოლაში ხელს ვუწყობთ მოზარდის არა მხოლოდ აკადემიურ მიღწევებს, არამედ მოსწავლეთა ჩართვას სხვადასხვა ფორმალურ, თუ არაფორმალურ აქტივობაში.

ტარდება საინტერესო ინტეგრირებული გაკვეთილები, სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებები, ვიქტორინები, სადაც თითოეული მოსწავლე დატვირთულია შესაძლებლობებისა და უნარების მიხედვით.

განსაკუთრებით აღინიშნება გამოჩენილი ადამიანების საიუბილეო თარიღები, შეხვედრები მსახიობებთან, მწერლებთან, მუსიკოსებთან, რაც მოსწავლეებს ეხმარება თავისუფალი აზროვნებისა და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში.

ბავშვებს მოსწონთ ახალი და ფერადი დავალებების შესრულება, რომელიც ნატიფი მოტორიკის გამოყენებას მოითხოვს. მაგ: ძერწვა, ხატვა, „ფაზლების“ აწყობა და ა.შ. „ფერადი” და საინტერესო გარემოს შექმნასა და მოზარდის ინტერესის გაღვივებაზე ერთად ზრუნავს ჩვენი დაწყებითი განათლების კათედრა.

ტრადიციულად ტარდება „ანბანის შემობრძანების” ღონისძიება, სადაც მართლაც ზღაპრულ სამყაროში მოგზაურობენ ჩვენი პატარები.

სწორედ ამ მიზნით დაწყებითი (პირველი) კლასის მასწავლებელმა **ნინო ლაზიშვილმა** შექმნა სასწავლო რესურსი პლასტელინისგან, რომლის მიზანი იყო ყურადღების, ფანტაზიის შემოქმედებითი თვითგამოხატვის უნარების გამოვლინება. მოსწავლეებმა ხალისიანად შეასრულეს აქტივობა, მათ შექმნეს პლასტელინის ახალი ფორმების გამოყენებით **„აი ია”.**

არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ დაწყებითი კლასის მასწავლებლის ქალბატონი **ნატო არჩვაძის ღონისძიებები**, სადაც პატარები ნამდვილ სასცენო ხელოვნებას ეუფლებიან.

ნატო მასწავლებელი ინდივიდუალური მიდგომითა და საოცარი სიზუსტით წარმოაჩენს ხოლმე მოზარდის შესაძლებლობებს. ღონისძიებებმა სახელწოდებით “**ჭადრაკის სამეფოში**” თუ „**პლანეტების გაცნობამ**” წარუშლელი შთაბეჭდილებები დაუტოვა პატარებს. მოსწავლეები გაეცნენ ჭადრაკის, როგორც უძველესი თამაშის საიდუმლეობას. თეატრალური ინსცენირებით წარმოადგინეს ჭადრაკის შექმნის ისტორია და თამაშის წესები. გამოავლინეს დამოუკიდებლად აზროვნების უნარი.

აქტიურად ფუნქციონირებს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა (თავმჯდომარე X კლასის მოსწავლე **ვალერი სალდაძე**).

დაწყებით კლასებში დამხმარე სახელმძღვანელოდ ვიყენებთ, სინგაპურის მოდელზე დაფუძნებულ მაკმილანის მათემატიკის ბილინგვურ სახელმძღვანელოს - „Max მათემატიკა”. საგაკვეთილო პროცესში დავნერგეთ მათემატიკის სწავლების ახალი მეთოდები, რომლებიც სინგაპურის მეთოდის და CPA მიდგომაზეა დაფუძნებული, რაც ხელს უწყობს მოსწავლისათვის საგაკვეთილო პროცესი გახდეს პერსონიზებული. ამ მეთოდით მოსწავლეები არამხოლოდ მათემატიკის, არამემდ XXI საუკუნისათვის აუცილებელ უნარჩვევებსაც გამოიმუშავებენ. ბავშვებს უფრო შეუყვარდათ მათემატიკა და საყვარელ საგნადაც მოიხსენიებენ.

სკოლაში ახალი საგანმანათლებლო პროექტის „სამხედრო საქმის” ფარგლებში IXა და IXბ კლასებში თავდაცვის ძალების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ისწავლება საგანი “სამხედრო საქმე”. საგნის პედაგოგი (თადარიგის პოლკოვნიკი, ამჟამად საქართველოს სამხედრო-სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი (სსსტც) “დელტა” - სამმართველოს უფროსი) **გოჩა შავგულიძე**.

სკოლაში ირიცხება 26 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. მათგან უმეტესობა დაწყებით საფეხურზეა.

ვფიქრობ, რომ ჩვენი გუნდის წარმატების მთავარი საფუძველი მოსწავლეთა სიღრმისეული შეფასებისა და მასზე დაშენებული სტრატეგიების შემუშავებაშია, რომელიც თითოეული მოსწავლისათვის შემუშავებულ ინტერვენციის გეგმის ნაწილშია წარმოდგენილი.

X კლასებში მიმდინარეობს სავალდებულო პროექტი ხელოვნებაში (ხელოვნების პედაგოგი **ეკა ელისაშვილი**), რაც ემსახურება კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. მოსწავლეებმა სასწავლო წლის დასაწყისში შეარჩიეს თემა. თემის ირგვლივ ატარებენ კვლევას, მიდიან ადგილზე, სტუმრობენ მუზეუმებს, ქმნიან ჩანახატებს, სკოლაში არიგებენ საკუთარი ხელით შექმნილ ფლაიერებს, აფიქსირებენ საკუთარ აზრს და ქმნიან მარტივ დოკუმენტურ ფილმებს.

ჩვენი სკოლა ორიენტირებულია, მოსწავლის სურვილისა და შესაძლებლობის მიხედვით, სწორად წარმართოს მოზარდის ცხოვრება. ვიყენებთ სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, რომელიც ყველა მოსწავლისათვის სწავლის თანაბარ შესაძლებლობებს ქმნის, მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებისა.

ამ ეტაპზე არ გვაქვს საკუთარი შენობა, რაც ხელს უშლის სასკოლო აქტივობების მრავალფეროვან არჩევანს. სკოლის დირექცია დაუღალავი შრომით ახერხებს მოზარდებს ნაკლებად შეეხოს ეს პრობლემა. უახლოეს მომავალში კი საკუთარ ჭერქვეშ მეტად გავშლით ფრთებს.

ამ სკოლის დირექტორი **ლია გაბინაშვილი**. ხელმძღვანელობს 2014 წლის 9 სექტემბრიდან.

ბორის მიშველაძე,
საქ.დამს.ჟურნალისტი

საქმემან შენმან...

დასანახი, გასააზრებელი და დასაფასებელი

თბილისის მე-2 საჯარო სკოლაში, განათლების დარგის გამოცდილი მუშაკი ბატონი **გალაქტიონ მინდიაშვილი** რომ უდგას სათავეში, განათლების ეროვნული პროგრამის ყველა მოთხოვნა ხორციელდება, მაგრამ არა ტრაფარეტულად, მოთხოვნების ბრმად მიყოლით, არამედ შემოქმედებითად, გამიზნულად, ინდივიდუალური მიდგომით, რაც ერთობ სახარბიელო შედეგებს იძლევა. ადმინისტრაცია – დირექტორი და მისი მოადგილე, ქალბატონი **თეონა არველაძე** – დღენიადაგ ცდილობენ და აღწევენ კიდეც მიზანს, რათა სკოლაში შემოქმედებითი, კოლეგიალური, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთდახმარების გარემო სუფევდეს, რის საფუძველზეც იგება პედკოლექტივის მთელი მუშაობა. ყოველ პედაგოგს გასიგრძეგანებული აქვს სამშობლოსათვის მცოდნე, ფიზიკურად და ზნეობრივად ჯანსაღი თაობების აღზრდის დიდი მისია და სათანადოდ ირჯება კიდეც.

ეს სასწავლო წელიც სკოლამ ჩვეულებისამებრ წარმატებით, ახალ გარემოში – გამართული ინფრასტრუქტურით დაიწყო, რადგან, თუ შესატყვისი პირობები არ იქნა, რაგინდ მოინდომოს კოლექტივმა, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი შესაძლებელზე მაინც ნაკლები იქნება. ამიტომაც იზრუნეს დროულად სკოლაში სწავლა/სწავლებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად. მართლაც იქნებოდა კი პაგანინი ასეთი ვირტუოზი შემსრულებელი სტრადივარიუსის ვიოლინო რომ არ ჰქონოდა?! წარმატებული დასაწყისი კი, ჩვეულებრივ, საქმის ასევე წარმატებულად გაგრძელებისა და ასეთივე დასასრულის მტკიცე საწინდარია.

სკოლაში აქტიურად, შემოქმედებითად ხორციელდება შემოქმედებითი და სოციალური, საერთაშორისო პროექტები, ისწავლება მესამე უცხო ენა – იტალიური (პედაგოგი – **ნინო ბუიღლიშვილი**).

სკოლაში დიდ ყურადღებას აქცევენ ყმაწვილების პატრიოტებად, მამულიშვილებად აღზრდა-ჩამოყალიბებას. ამის ერთი, მაგრამ მრავლისმეტყველი დასტური წმიდა ილია მართლის – ილია ჭავჭავაძის დაბადების დღის – 8 ნოემბერი – აღსანიშნავი ერთობ შინაარსიანი, დრამატულობით დატვირთული ღონისძიება გახლდათ: „საუბრები ილიას შემოქმედებაზე“. მასში საბაზო საფეხურის მოსწავლეები იყვნენ ჩართულნი პედაგოგების: **თეონა არველაძის, ლელა ინასარიძისა** და **თინა ცომაიას** ხელმძღვანელობით.

ერთი შეხედვით, თითქოსდა, ვითომ რაო, მაგრამ საყოველთაო კომპიუტერიზაცია-მობილურობაში, როცა წიგნი ძნელადღა ახსოვთ, სწორედ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში კითხვის წრე მოქმედებს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის. ასეც უნდა იყოს – შენობას საფუძველი ბალავრიდან ეყრება. ყმაწვილებსაც კითხვა, წიგნი პატარაობიდანვე უნდა შეაყვარო. ამ დიდებულ საქმეს უძღვებიან დაწყებითი საფეხურის პედაგოგები: **ირმა მარგველაშვილი, ლია ესებუა, იზოლდა ამანათიძე** და **ლალი კიკვაძე;** ხელმძღვანელი კი **თეა ფოფხაძე** გახლავთ.

მოქმედებს მეწარმეობის წრეც (ხელმძღვანელი – **ელისო ფიცხელაური**), რაც ყმაწვილებს პრაქტიკული ცხოვრებისათვის ამზადებს.

სკოლა აქტიურად მონაწილეობს e-Twinning-ის პროგრამაში, შარშან კი ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მიერ გამართულ სპორტულ ღონისძიებაში გაიმარჯვა და ევროპის საგზური მოიპოვა (პედაგოგი – **გიორგი არჩაია**). ანუ, ზემოთ რომ ფიზიკურად ჯანსაღი თაობების აღზრდისთვის სკოლის ზრუნვაზე ითქვა, აი, თუნდაც ამ ფაქტით დასტურდება.

სკოლა მართლაც შემოქმედებითად, მიზანმიმართულად მუშაობს – ამის ერთი დასტური ისიცაა, რომ 4 პედაგოგი: **ხვიჩა ბერიძე, ელისო ფიცხელაური, გიორგი არჩაია** და **მარინე ჩახვაშვილი** ეროვნულ პრემიაზე იყო წარდგენილი.

სკოლის წარმატებები ყოველი პედაგოგის ღვაწლი და დამსახურებაა. კოლეგებს გამოცდილებას უზიარებენ წამყვანი პედაგოგები: **თამარ გელენიძე, ნანა ნაჭყებია, მადონა ნიკოლაიშვილი, ლალი ქარდავა, მადლენა მანუკიანი, თინათინ ხეჩიკოვა, მარინე ჩახვაშვილი;** მენტორი მასწავლებელი **ნანა მედულაშვილი.**

სპეციალური პედაგოგები **ნათია ბურდილაძე** და **შორენა მაჭავარიანი** თავისი საქმის პროფესიონალები არიან.

თუ, მავანთა მტკიცებით, ანალიტიკურ გონებას წვეთ წყალზე დაკვირვებით, დედამიწაზე მდინარეების, ტბების, ზღვებისა და ოკეანეების წარმოსახვა ძალუძს, მაშინ არც ამა თუ იმ ფაქტისა ან მოვლენის მიღმა მდგარი დიდი შრომის წარმოსახვა უნდა გაჭირდეს. ამიტომაცაა დასანახი, დასანახი, გასააზრებელი და დასაფასებელი ის დიდი შრომა, რაც ამ მცირე ჩამონათვალის მიღმა დგას.

მარიამ ხატიაშვილი-ბურგენიძე

რა ხდება წყნეთის სკოლაში

დირექტორი მშობლიურ სკოლაში დაბრუნდა

შეგახსენებთ, ლადო ასათიანის სტრიქონებს: „ისე მტკიცე იყვნენ მუდამ, ვით მეტეხის კედელი, როგორც თამარ ვაშლოვნელი და მაია წყნეთელი“. დიახ, დიდი ხანია 137-ე სკოლა მაია წყნეთელის სახელს ატარებს და აქაური პედაგოგები მშობლიურ სკოლაში დაბრუნებული დირექტორის, მეცნიერებათა დოქტორის **კობა წენგუაშვილის** მეთაურობით მაია წყნეთელივით მტკიცედ დგანან მიღწეული წარმატებებისა და „მამული, ენა, სარწმუნოების“ დაცვის სადარაჯოზე.

„მამაკაცებს მხარში ედგნენ ვით ფოლადის ფარები, და მტერს მათთან ერთად სცემდნენ საქართველოს ქალები“. დიახ, დირექტორს მხარში უდგანან „ვით ფოლადის ფარები“ და გამარჯვებისთვის იბრძვიან გამოცდილი მოადგილეები: **ნათია თათულაშვილი, ქრისტინე წენგუაშვილი** და ძლიერი პედაგოგები.

პათეტიკა საკმარისია და ახლა „ძირს სიყვარულით დავხედოთ მიწას.“

სკოლიდან მიღებული წერილიდან:

***

პირობას უთუოდ შევასრულებთ

2020-24 წელი წარმატებით დავასრულეთ. სკოლას მიენიჭა ავტორიზაცია. თითქმის ყველა მეთორმეტე კლასელი ჩაირიცხა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

2024-25 სასწავლო წელი ორგანიზებულად დავიწყეთ. მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით, მივიღეთ ორი პირველი კლასი. 55 მოსწავლით.

სკოლის დირექტორი: **კობა წენგუაშვილი**, სასწავლო ნაწილები: **ნ. თათულაშვილი, ქ. წენგუაშვილი,** სხვებს შრომის მაგალითს უჩვენებენ.

სკოლას ჰყავს 8 წამყვანი პედაგოგი: **ნ. თათულაშვილი, ნ. ელიზბარაშვილი, ე. რუხაძე, ლ. სულაძე, მ. კახელიშვილი, ნ. ანგურიძე, დ. ტათუაშვილი, ე. მორჩილაძე.**

მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ოლიმპიადებში. გარემოს დაცვის პროექტებში, კერძოდ, **„ნ.კეცხოველის სასკოლო პრემიის პროექტში“.** ყველას აქ ვერ ჩამოვთვლით.

ჩვენი სკოლა აქტიურად თანამშრომლობს კომპანია **„ტენესთან“** და **„კერესთან“,** მონაწილეობს ნარჩენების სეპარირებაში (მინა, პლასტმასი). თბილისის მასშტაბით გავიმარჯვეთ **„ტენეს“** კონკურსში.

ოქტომბერში დაწყებითების კათედრამ ჩაატარა ღონისძიება: **„ოქროსფერი შემოდგომა“,** შეგროვილი ხილით, ტკბილეულით, ნობათებით ვესტუმრეთ მოხუცთა თავშესაფარს, წყნეთში მდებარე განვითარების ცენტში შ.შ.პირებს.

ახალი წლისთვის დაგეგმილი გვაქვს საახალწლო ნაძვის ხის ზეიმები, რომელიც მეტად სახალისო იქნება.

ამ მცირე ჩამონათვალის უკან დგას მუხლჩაუხრელი შრომა მასწავლებლებისა. ჩვენთან ყველა პედაგოგი ძლიერია. ჩვენ პირობას შევასრულებთ. მოწინავე პოზიციებს არ დავთმობთ, კარგად ვიცით, რომ პირობების გატეხვას თავის გატეხვა სჯობს.

დიდ წარმატებას გისურვებთ, წყნეთელებო!

ბორის ხარებავა

„ილიაობის“ კვირეული

ერის მამა და უგვირგვინო მეფე საქართველოსი

მას „სამშობლოს სამსახურისთვის ჩანგი უკურთხა ზეგნამა“. თავად კი წერდა: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“. ასეც იყო, არის და იქნება. ქრისტესმიერობა მისი თანამდევი თვისება იყო, ამიტომაც წმინდა ილია მართალი ეწოდა. ნოემბერში წელს ნორმალურად ჩატარდა მისი კვირეული. ნორმალურადო რომ ვამბობ, უკმარისობის გრძნობა მეუფლება, ძაღლთა დაცვის დღე პომპეზურად ტარდება და იმიტომ.

ცნობილმა პოეტმა, პუბლიცისტმა, ფილოსოფოსმა **ციური დათიაშვილ-აფციაურმა** მხატვრული ნარკვევი მოგვიტანა რედაქციაში.

გთავაზობთ მას უცვლელად.

რედაქტორი

დროთა მსხვერპლი

ღვთის ნება და წყალობა წარმოშობს ეპოქათა ტიტანებს კაცობრიობის გადასარჩენად.

წმინდაა სახელი და დიდება უძლეველ ძალთა.

დიდება გმირნო ქვეყნისანო, სულით ძლიერნო!..

წყალობა ჰყავ, უფალო, ერსა ზედა, რომელმაც შვა სულით წმიდა და ძლიერნი, ვითარცა ქრისტე – ძე მამისა და სულიწმიდისა ჩვენს სანუგეშოდ და შესაწყნარებლად მოსული, და, რომელმაც შთააგონა ძლიერთ სწორ, გაწმენდილ გზაზე სიარული.

ისტორია – მოწამეობრივი მოლაპარაკე ფურცლებია (ნუსხა და ცნობები) კაცობრიობისა და სამყაროს არსებობისა, რომლის სიცოცხლის არსი – მუდმივი ქმნადობაა, განუტვირთავი წამება იყო და არის მთელი ცხოვრების – ეპოქათა ცვლილების გზა, მაღალზნეობრივ თვისებათა მატარებელ გმირთა ნათელი შუქით, სამარადჟამო პირუთვნელ ყოფიერებაში, რომელიც მოგვანიჭა ღმერთმა, ქრისტემ – სიყვარულის უბადლო მაცხოვარმა, რომელმაც წარმოშვა განუმეორებელი გმირი კაცობრიობისა ილია მართალი.

ჩვენ თვალწინ იცვლებიან ეპოქები, თავის საზოგადოებრივ წყობათა ლეგიტიმაციით. ფორმაციები ეკონომიკური და სტრატეგიული მიზან-მიმართულებებით, სოციალური წყობის პროგრესით, რომელთა გარდაქმნაში ისახება ძალა და ეს პროცესები წარმოშობენ სულ ახალ-ახალ გმირებს, კონკრეტულ სახეებს.

საზოგადოება ღელავს, ვით პურის ყანა დასამწიფებლად.

მიწა ვედრებით შეჰყურებს ზეცას: – მიიღე ჩემი ლოცვა, უფალო, ჩემს მონაგართა გადასარჩენად. „იყავნ ნება შენი!“

და ასეთ სულიერ აღძვრაში მყოფი გმირები ეწირებიან სამშობლოს. როგორც „უქარქაშო ხმლების“ გმირები, სიწმინდედ ანთებული კელაპტრები.

„ილია ღრმად ჩაძირულიყო ილიაში.

...100 ნაბიჯი – წიწამურის ტყის პირიდან.

ერთი წუთი...

მეეტლემ უცებ ეტლი დააყენა.

უმალ ტყეში ხუთი თოფი გამოიშვირა.

ეტლიდან გადახტა **იაკობ თარაშვილი,**

„ვაცნო, ვინა ხართ, არ გვესრ...“

სიტყვა ჩაუჭრა თოფის გრიალმა და **თარაშვილი** თავდამხული დაენარცხა მიწას.

ილია უკვე ფეხზე იდგა, ჭაბუკურად გაფიცხებული.

„შესდექით უბედურნო, ილია ვარ!!!“

და წამსვე ოთხი თოფი გავარდა ერთად.

„სა-ქართ-ველო“ – უკანასკნელად ეს სიტყვა გაფითრდა და გაშრა მის გრძნეულ ბაგეებზე.

დრო გაჩერდა“. (ლ.სანიკიძე).

„ყველაფერს თავისი დრო აქვსო“ – ამბობს ქართული ანდაზა. ღმერთმა აკურთხა ქართული სიბრძნე და დროს შეეწირა მსხვერპლად სული წმინდა პოეტისა და მწერლისა, საზოგადო მოღვაწისა, ერის „უგვანო“ მეფისა, ხალხისათვის თავდადებული გმირისა“ **ილია ჭავჭავაძისა.**

ისტორია მეორდება მოწა-მეობრივი ცხოვრება გრძელდება, თუმცა სხვადასხვა თავისუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, რასაც მხოლოდ შე-დეგები არკვევენ, მაგრამ მისწრაფებანი: **„მამული, ენა, სარწმუნოება!“** – ერთია, ერთია სიყვარული სამშობლოსი:

„სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა“... ეს იცის ერმა.

„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ!“ და შენს გვერდით მტერმა, რომელსაც ჯერ კიდევ არ აქვს შეგნებული, რომ:

„ჩვენი სამშობლო ჩვენადვე გვეყუდნეს!..“

„მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“, ამიტომ არ გასჭირვებია „თერგდალეულს“ ილიას სიმართლის დანახვა და შემეცნება იმ **„ოთხი წელიწადისა“,** რომელიც სინათლის სხივად შენივთდა მის ფილოსოფიურ აზროვნებაში და ერის დამპყრობთაგან გასათავისუფლებლად ეწეოდა.

ამიტომ შეადარა განუმეორებელმა **იაკობ გოგებაშვილმა,** ჩვენს უსათნოეს ლოცვას – ქრისტეს – ილია.

განმეორდა ეპოქა, განმეორდა „დროთა მსხვერპლი“ (მ. დათიაშვილი - აფციაური) განმეორდა „წამება“ (რევაზ მიშველაძე), მაგრამ არ განმეორებულა ქრისტე – ჩვენს მხსნელად მოვლინებული.

უფალი სამსჯავროს უმზადებს ყველას: ვინც ებრძვის „სულიწმინდას“, შეუცნობი უმანკო თუ მანკიერი თვისებებით: სამსჯავრო ამხელს ყველას – ერთგულსაც და ორგულსაც და იქ ლიდერი აღარავინ იქნება გარდა იესოსი.

ზარ-ზეიმი არ ერქვა ილიას დაკრძალვას, მაგრამ, სწორედ, რომ ზარ-ზეიმი იყო უბადრუკი მტრის დასათრგუნავად, რადგან, მართლა უბედურმა, არ იცოდა რა ჩაიდინა: როგორ შეიქმნა ეროვნული-სახალხო გმირი საქართველოს ღმერთ-კაცად.

უბადრუკთ ის ხუთი ტყვია ეყოფათ, რომელიც თავის დროზე უკან დაუბრუნდებათ და ილიას დაღვრილი სისხლი, ვითარ ღვარცოფი – საკუთარი ხალხის განსჯა-წამებისა, – დაახრჩობთ.



ურმული

„ურმული“ – გლეხის დიღინი,
ცისკარს ამოსწევს ცაზედა,
წინ გარიჟრაჟი იღიმის,
შავ ნაბადს დახევს მთაზედა...
ჩემს საქართველოს საფიცრად,
ილია გვიძღვის სახედა,
სიყვარულს ქრისტესგან ვიღებთ
გამოსახსნელად მახიდან.
ილია შეხვდა ბრალდებულს
ხეს, ტოტებს შუა გახედა,
ამომავალმა მზის შუქმა,
სიმართლეს თვალში ჩახედა...
– მოწმედ ხის ფოთოლსა ვხედავ!..
...და ბრალმდებელი გახევდა...
წრფელი გონება უბიწო,
სულის სიწმინდის დედაა,
ვითარცა გონი და ენა
სიცოცხლის გადარჩენაა...
ილიას სიბრძნე სამშობლოს, –
ტყის ფოთოლთ ლაღი სმენაა,
სიმართლე – მერცხლის ჭიკ-ჭიკი,
სალამურისა სტვენაა.
მზით ნაზარდ ოქრო-ყანისა,
სურნელით წარმოჩენაა...
– ეჰე-ე-ე-ე! გასწიეთ, ხარებო!..
პირუტყვთა ენა ვისწავლოთ
ესეც ხომ აღმოჩენაა.

მზიური დათიაშვილი-აფციაური

მწამებლური სიკვდილი

(წიწამური)

მდრტვინავი სული ქართველთა,
არა და აღარ გამრთელდა,
წინაპართ ბრძოლა ხანგრძელთა,
თავის გაწირვა ხანგრძელთა...
ეპოქას ჩაბღაუჭებულთ,
არ სურდათ ქება ქართველთა,
სძლევდა მოშურნე სიწმინდეს,
გული სტკიოდათ გამძლეთა...
ვაუკაცნი მთათა დამდრეკნი –
წმინდა გიორგი და მძლეთა,
ვერაგ მტრებს ერთად ებრძოდნენ
საფლავით აღდგნენ ძვალ-მძლევთა, –
ერის სიწმინდე დაეცვათ,
როგორც ილიას ხმას, ცრემლთა.
ჩამძიებელსა ღალატსა
კაცთ შორის შურის მზრახველთა...
„კაცია-ადამიანი?!“ – რამ გათქმევინა სიბრძნეო,
ნუთუ წინასწარ სიკვდილი, არაკაცთაგან იგრძნეო?
წინასწარმეტყველი იყავ? – ძმათა მკვლელთ სული ძიძგნეო!..
ერისთვის თავდადებულმა ბოროტი გამოშიგნეო...
კაენის სისხლის მიმდევართ, ადამიანი სძულანო,
შემოაბრუნეს მახვილი გულს ჩადებული მტრულადო,
თოფნი გატენეს ტყვიებით, გზაზე დაგიხვდნენ მგლურადო,
შენი სიცოცხლე „სწყეროდათ“ და სისხლის „ხვრეპა ძმურადო“.
ვინა თქვა: „ძმა ძმის მტერია!“ – ერს სწვავენ უსულგულოდო.
კაენის დიდი მოქიშპე – ნოე გვყავს აღსასრულადო...

ქართველის სისხლმა დღემდე დროს გაუძლო, მაინც, სრულადო
ვერ მოვიშორეთ მოშურნე, – მდრღნელი ჩამჯდარი ჭურადო.
ბრძოლით, რომ აღვგვით, მაშინ კი ვიშვებით ჩვენ ქართულადო.

P.S. სიკვდილი ზოგისთვის ტყვია,
ზოგისთვის – შვება – „ლხენაა“.
შენ! – საშინელო სიკვდილო,
უარყავ შავ-მოლხენაა...

ნიჭით თუ უფალი გვმოძღვრავს,
და იგი აღმაფრენაა,
რად წარიტაცებ სამსჯავროს? –
სიწმინდე ჩვენი ლხენაა!..

მიტომ სჩადიხარ სიბრიყვეს,
გსურს გადაწონო სასწორი?
ჩვენი მხსნელია უფალი! –
მორწმუნეთ მოგვცა გზა სწორი.

მზიური დათიაშვილი-აფციაური

აქ ყოველი დღე ლამაზია

ბავშვის აღზრდისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ხარისხიანი სააღმზრდელო პროცესის სწორად წარმართვა. თბილისის **31-ე** ბაგა-ბაღი ერთ-ერთი დიდი და მრავალრიცხოვანი საბავშვო დაწესებულებაა, რომელიც მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. პროფესიონალთა გუნდს 2014 წლიდან სათავეში უდგას თავისი საქმის მცოდნე და სანიმუშო მენეჯერი **თეა ეფრემიძე**. სწორედ ქალბატონი თეას დამსახურებაა, რომ პატარებისთვის მოწესრიგებული, უსაფრთხო და პოზიტიური გარემოა შექმნილი; ყოველ წელს ეტაპობრივად ხდება ინფრასტრუქტურის განახლება, ბაგა-ბაღმა წარმატებით გაიარა აკრედიტაცია.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების ძირითადი პრინციპების დანერგვაში საკუთარი წვლილი შეაქვთ დირექტორის მოადგილე **ლამარა ბერაძეს**, მულტიდისციპლინარული გუნდის წევრებს – მეთოდისტებს: **მადონა ნემსაძეს, ნათია ჯოხარიძეს, ნანა გუდაძეს;** სპეც. პედაგოგებს: **ხათუნა მიქელაძეს, მანანა მინდიაშვილს, თეა მელქაძეს, მარი კიკილაშვილს, ფატი ახალაძეს**; ლოგოპედებს: **ლალი ქავთარაძეს, ანასტასია გელაძეს** და ფსიქოლოგებს: **მაია წერეთელსა** და **ნატალია ნავროზაშვილს**;

ბაღში 18 ჯგუფში 630 აღსაზრდელია, აქედან 4 - ბაგის და 5 - მზაობისაა. ახალი მეთოდოლოგიით, აღმზრდელს შეუძლია დაგეგმოს რა როგორ ასწავლოს და ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით გაზარდოს აღსაზრდელთა ჩართულობის ხარისხი, რასაც სწორად წარმართავენ **მზაობის ჯგუფების** აღმზრდელები: **ლელა მეხრიშვილი, ხათუნა ბერიძე, ეკატერინე მათურელი, ნანა ყელაურაძე, დალი ბეჟიტაშვილი, ხათუნა ბიწაძე, მაია ნემსაძე, მარი შუბითიძე, ლაურა წიქარიშვილი**; ამ ასაკის ბავშვებთან განსაკუთრებით საინტერესოა ეს პროცესი, ისინი უკვე გაზრდილები არიან და აქტიურად ერთვებიან აქტივობებში.

ბავშვის შესაძლებლობიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, თამაშზე დაფუძნებული კრეატიული კურიკულუმით ხელმძღვანელობენ აღმზრდელები: **ლელა გაბულდანი, მანანა ხუციშვილი, თეონა ტეფნაძე, ხათუნა მიქელაძე, დიანა ქიტუაშვილი, ზინა სულთანიშვილი, მაკა ჩადუნელი, ნანა გელდიაშვილი, ეკატერინე ყიფშიძე, ირინა ტურაშვილი, ირენა ილურიძე, თამილა პეპენაშვილი, ესმა კაციტაძე, ია აბულაძე, ლალი გოგლიძე, ნელი ხიდაშელი, ნათია შუბითიძე, თამუნა ქანაშვილი, მაკა ცინცაძე, ნათია ტატიშვილი;** საინტერესოდ მიმდინარეობს აქტივობები თემებზე, როგორიცაა: ჩემი უბანი, პროფესიები და სხვა.

სხვადასხვა განმავითარებელ აქტივობებსა და ღონისძიებებს, რომლებსაც აღმზრდელ-პედაგოგები ატარებენ, მუსიკალურად აფორმებენ მუსიკის პედაგოგები – **ნონა მეცხვარიშვილი, ნანა ზურაბიშვილი, ნინო ჟვანია, ნანა ბუტიკაშვილი**. შემოდგომის ნობათით დახუნძლულ ჯგუფებში უკვე ჩატარდა **შემოდგომის გაცილების** ულამაზესი ღონისძიებები. სულ მალე საახალწლო მზადებასაც შეუდგებიან, ზღაპრის გმირებიც გაცოცხლდებიან და საჩუქრებით დატვირთული თოვლის ბაბუაც ეწვევათ, რასაც პატარები განსაკუთრებული გულისფანცქალით ელიან.

ყოველი შემდგომი ლამაზი დღისთვის და ხარისხიანი სააღმზრდელო პროცესის წარმართვისთვის კი მუხლჩაუხრელად შრომობს ბაგა-ბაღის მთელი კოლექტივი.

ნათია გუგუნავა

59-ე ბაგა-ბაღის მუშაობის ანგარიში

პატარების შემოქმედებითი უნარების განვითარებისთვის

59-ე ბაგა-ბაღი აღსაზრდელებისთვის და მათი მშობლებისთვის, მართლაც საიმედო საბავშვო დაწესებულებაა, სადაც პატარებს ჯადოსნურ სამყაროს და კომფორტულ გარემოს უქმნიან. ბაღის დირექტორია **ეკა ლოთიკაშვილი**, რომელიც გამოცდილი მენეჯერია და შესანიშნავად უძღვება დაკისრებულ მოვალეობას. საბავშვო დაწესებულება ფაქტობრივად, ააღორძინა და დაამშვენა. ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელშეწყობით მოწესრიგდა შიდა და გარე სამუშაოები.

ეკა ლოთიკაშვილი - ჩვენი მიზანია აღსაზრდეებს მივაწოდოთ აუცილებელი ცოდნა, განვავითაროთ და კომფორტი შევუქმნათ. განახლებულ სასწავლო წელს, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით შევხვდით, შეიცვალა ავეჯი, ინვენტარი და თემატური სახელმძღვანელოები; გარემონტდა საბავშვო ოთახები და დერეფნები; თბილისის მერიის დახმარებით, შენობის სახურავის სრული და კაპიტალური რეკონსტუქცია ჩატარდა.

რაც შეეხება სააღმზრდელო პროცესს, საბავშვო დაწესებულებაში ხშირად იმართება აქტივობები და შემოქმედებითი ღონისძიებები. შესანიშნავად მიმდინარეობს „სასკოლო მზაობის" პროგრამა. თემატურ სახელმძღვანელოთა კრებულის მიხედვით და თანამედროვე სწავლების მეთოდების გათვალისწინებით, აღსაზრდელებისთვის ტარდება გონებრივი და განმავითარებელი სავარჯიშოები, თითოეულ მიმართულებას თან ახლავს სახმიანობის ნიმუშები და რეკომენდაციები. მაგალითად, აღნიშნული თემებია: ბუნება და ფიზიკური სამყარო, რაოდენობრივი წარმომადგენლები, წიგნიერება, მეტყველება-კომუნიკაცია, სოციალური და კულტურული სამყარო, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, ჯანმრთელობა და ჰიგიენა, ფიზიკური აქტივობა-თამაშები და სხვა. დიდი ყურადღება ექცევა აღსაზრდელების კვებას, რომელიც ასაკის მიხედვით არის გათვალისწინებული და კალორაჟი დაბალანსებულია.

59-ე ბაგა-ბაღში დიდი ყურადღება ექცევა აღსაზრდელების შემოქმედებითი და აზროვნების უნარების სრულყოფილად განვითარებას. პრაქტიკულ მასალებსა თუ სავარჯიშოებზე დაყრდნობით, მიმდინარეობს ინტერაქტიული მეცადინეობები, კითხვა-პასუხის რეჟიმში. ასეთი აქტივობა, გამიზნულია ბავშვების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გაგებაში, ცოცხალი და არაცოცხალი სამყაროს რეალურად აღქმაში.

საბავშვო დაწესებულების მუშაობის პრინციპი და უმთავრესი მიზანია: საფუძველი ჩაუყარონ ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას. ეს კი, ბაგა-ბაღის მთელი შემოქმედებითი გუნდის ერთობლივი საქმიანობით და ძალისხმევით მიიღწევა, რისი მზაობა და თავდადება ნამდვილად არის და წარმატებებსაც აღწევენ.

მზია გოგოძე

უშურველად გასცემენ

ასეთი თანხვედრაა წარმატების ქვაკუთხედი

არის სკოლები, საგაზეთო წერილებს ჟამგამოშვებით რომ გაწერინებს. რატომ? ლათინური ანდაზა გვასწავლის, გამეორება ცოდნის დედააო, მაგრამ – როგორი გამეორება? ადგილზე ტკეპნაც ხომ გამეორებაა? და აქვს კი აზრი ასეთ განმეორებებს?

აი, ზემომოხსენებული სკოლები, საგაზეთო წერილების მასალებს რომ გვაწვდიან, ისე შემოქმედებითად, მიზანმიმართულად მუშაობს, ისე ახერხებს ეროვნული განათლების პროგრამაში მოსწავლეებისათვის სარგოს ჩართვას, განვითარებას და ყოველ მონაფეებმდე მიტანას,

რომ, ძალაუნებურად, ილიასეულ თერგს გაგონებს, მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობაა, ჩემო თერგო, ქვეყნისათვის ძალისა და აზრის მიმცემიო.

სწორედ ესაა უმთავრესი: არ შეჩერდე, არ გაიყინო, არ დასჯერდე მხოლოდ იმ მშრალ თეზისებსა და დოგმებს და შენი შეიტანო, გააცოცხლო, ყმაწვილებისათვის სახალისო გახადო სასწავლო პროცესი.

რთულია? დიახაც, მაგრამ პროფესიონალიზმი, მონდომება და დიდი მისიის – სამშობლოსათვის ფიზიკურად ჯანსაღი, მორალურად მდგრადი, მცოდნე, მამულის მოყვარული თაობების აღზრდის გასიგრძეგანება განაპირობებს ამ სირთულის გაქარწყლებას.

ერთ-ერთი ასეთი, აშკარად გამორჩეული სკოლათაგანია თბილისის 86-ე საჯარო სკოლა. მას სათავეში განათლების დარგის მრავალნაცადი მუშაკი, ქალბატონი **ნანა ქაჯაია** უდგას. ვინ მოთვლის, რამდენი სიახლე დანერგილა მისი თაოსნობით ამ სასწავლო დაწესებულებაში, როგორი კოლეგიალური, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების გარემოა შექმნილი ამ თვალსაჩინო სკოლაში.

ასეა: როცა სათავე წმინდაა, წყაროც ანკარა მოედინება. ნათქვამია, ფერი-ფერსაო და პედაგოგთა კოლექტივი სწორედ რომ ზემოთქმულის სრული შესატყვისია.

დირექცია – დირექტორი და მისი მოადგილე, ქალბატონი **სიდონია ჟიჟილაშვილი** – ყოველმხრივ უწყობს ხელს მასწავლებელთა წინსვლას, კვალიფიკაციის ამაღლებას, ახალისებს და გვერდში უდგას ყოველი გონივრული ინიციატივის დანერგვაში.

ზემო ელიას დასახლებას, სადაც 86-ე სკოლაა, ყველა სასწავლო რესურსითა და თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი სკოლა აქამდე არა ჰქონია.

ქალბატონი ნანას თქმით, სკოლის ახალი სასწავლო კომპლექსი მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის საფუძველი გახდა; სწავლას ყოველწლიურად სამი პარალელური პირველი კლასით ვიწყებთ; შესაბამისად, პედაგოგთა რაოდენობაც იზრდებაო.

ოდნავ „შევასწორებ“ დირექტორის ნათქვამს: ცხადია, ყოველ მშობელს სურს შვილი სწავლისთვის რაც შეიძლება უკეთეს პირობებშიც ჰყავდეს და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას საამისოდ ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მშობლისთვის უმთავრესი მაინც ისაა, ვის ხელშია მისი პირმშო, ანუ როგორია პედკოლექტივი?

ჰოდა, როცა „გარეგანი“ – ინფრასტრუქტურა – და „შინაგანი“ – პედაგოგთა ნიჭი, მონდომება, გულისხმიერება ასე თანხვედრილია, სწავლა/სწავლების ლამის იდეალური გარემო იქმნება.

და სწორედ ეს თანხმიერებაა, უპირველესად, მოსწავლეთა რაოდენობის ინტენსიური ზრდის ქვაკუთხედი.

სწავლების პროცესი რომ ყოვლად გამართულად, ყოველისმომცველელად წარიმართება, ამის ცხადყოფას საგაზეთო

სივრცის სიმცირის გამო ვერ შევძლებთ, მაგრამ მოსწავლეები რომ სკოლას მის ფარგლებს მიღმადაც ასახელებენ, ამის რამდენიმე მაგალითს მოვიხმობთ: ყმაწვილები ყოველწლიურად წარმატებით მონაწილეობენ **„ტვინების ბრძოლაში“.** (ესეც ხომ, უპირველესად, სკოლის დამსახურებაა?); მესამე კლასის მოსწავლე **ანდრია მიქელაშვილი** კლასიკური მუსიკის მეხუთე ფესტივალ-კონკურს „ნიჭიერ კლასიკოსებში“ მონაწილეობდა და A ჯგუფში გაიმარჯვა; ტაილანდურ კრივში თავის წონაში საქართველოს ჩემპიონი მეორედ გახდა **ალექსანდრე წიკლაური;** მისმა დაიკომ **ანასტასიამ** კი საპრიზო ადგილი მოიპოვა; **აჩიკო ასტვაცატუროვი** წარმატებულია ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

რამდენიმე წელიწადია სკოლა თანამშრომლობს პოლონელ კოლეგებთან. განხორციელდა პროექტი: **„ჩვენ გვაქვს ძალა, ანუ საზღვრები საზღვრების გარეშე – აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერა სკოლაში“**.

86-ე საჯარო სკოლის პედკოლექტივს კვლავაც ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებთ მომავალი თაობების აღზრდის რთულ, მაგრამ ერთობ მადლიან გზაზე.

კოტე სარალიძე



156-ე ბაგა-ბაღი

მაღალ შედეგებზე ორიენტირებული

„ცისარტყელა“ - ასე ეწოდება თბილისის 156-ე ბაგა-ბაღს, რომელიც ვაზისუბანში მდებარეობს და თავისი სიმშვენიერით, მართლაც ცისარტყელასავით მომხიბვლელია. ეს საბავშვო დაწესებულება, ყოველთვის მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული და ამიტომაც, ბაღში მიმღებთა მოთხოვნა ძალიან დიდია. ბაგა-ბაღის წარმატების საიდუმლო კი, აღსაზრდელებთან ინდივიდუალური მიდგომა და მათთან სწორი, ადეკვატური კომუნიკაციაა. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, აქ გარე და შიდა სივრცე მთლიანად მოწესრიგებულია, რაც დირექტორის **ელენე თურმანიძისა** და ბაგა-ბაღების საგენტოს დამსახურებაა.

ელენე თურმანიძე: ახალ სასწავლო წელს, წინ უძღოდა ორ კვირიანი მოსამზადებელი პერიოდი, რათა აღსაზრდელებს კომფორტული გარემო დახვედროდათ. ბაგა-ბაღი საკმაოდ დიდია და სხვადასხვა ასაკობრივად დაკომპლექტებული 15 ჯგუფით გაიხსნა. დაგეგმილი ღონისძიებების მიხედვით, პედკოლექტივთან ერთად, ჩატარდა არაერთი აქტივობა.

საალმზრდელო გარემო საღღესასწაულოდ იყო მორთული და მოწყობილი. სახალისო ღონისძიებას, რომელიც ეზოში გაიმართა, აღმზრდელები და მოწვეული ზღაპრის პერსონაჟები ამხიარულებდნენ. აღსანიშნავია, ბაგა - ბაღების მართვის საგენტოს თანადგომა, რომელიც მუდმივად აწვდის ბაღს სათანადო რესურსს, სათამაშოებს, მეთოდურ სახელმძღვანელოებს და საჭირო მასალას,რომლებიც განკუთვნილია საალმზრდელო პროგრამებისთვის, კერძოდ, 2 - 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. საბავშვო ბაღში დიდი ყურადღება ექცევა კვებას, მუდმივად კონტროლდება სამზარეულო და მენიუ, სადაც დაცულია კალორაჟი, ცილებისა და ცხიმების თანაფარდობა. ჩვენთან მენიუ სეზონურად იცვლება. სათანადოდ არის დაცული უსაფრთხოება და სანიტარული წესები.

156-ე ბაგა-ბაღში მუდამ მშვიდი და სასიამოვნო გარემოა. აქ მხოლოდ, პატარების მხიარული ჟივილ-ხივილი ამხიარულებს არემარეს. კომპეტენტური აღმზრდელები და მათი თანაშემწეები კი, ბავშვებს მზრუნველობას და ყურადღებას არ აკლებენ. ბაგა-ბაღი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით და მუშაობენ გუნდური პრინციპით. დირექტორი კმაყოფილია თანამშრომლების საქმიანობით, მათ გარჯას და თანადგომას მადლიერებით აღნიშნავს.

ბაგა-ბაღი ასევე ჩართულია ჩეხეთის რესპუბლიკის „კარიტასის“ პროექტში, რომლის ხელშეწყობით, თეორიული და პრაქტიკული ტრენინგები იმართება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საბავშვო ბაღში კეთდება რესურს-ოთახი, სენსო-მოტორული ინვენტარით. საალმზრდელო აქტივობები, სხვადასხვა ასაკობრივ თხუთმეტივე ჯგუფში, ხორციელდება თამაშზე დაფუძნებული პროგრამით. „სასკოლო მზაობის” პროგრამის ფარგლებში კი, იგეგმება ბავშვის მიერ ინიცირებული სახალისო თამაშობები და აქტივობები; ასევე, გათვალისწინებულია გასვლითი ღია პროექტები, რომელიც მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს აღსაზრდელებს „სასკოლო მზაობის” პროგრამის ათვისებაში.

მზია გოგოძე

66-ე ბაგა-ბაღი

პატარების აღზრდა-განათლებისთვის ძალისხმევას არ იშურებენ

თბილისის 66 -ე ბაგა-ბაღი ტრადიციული საბავშვო დაწესებულებაა. იგი, ავლაბარში მდებარეობს და პატარების საყვარელი ადგილია. აქ ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და ბაგა-ბაღი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უსაფრთხოებას, სისუფთავეს და სანიტარული ნორმების დაცვას.

ეკა აღნიაშვილი, დირექტორი: სასწავლო წელს განახლებული რემონტით შევხვდით, რომლის ჩატარებაც უზრუნველყო თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტომ. აქვე გეტყვით,რომ ჩვენთან ფუნქციონირებდა ძალიან საინტერესო და სახალისო საზაფხულო ბაღი, რისთვისაც შევიძინეთ საცურაო აუზი, მზის ქოლგები და პატარებმა ცხელი დღეები გრილ და სასიამოვნო გარემოში გაატარეს. სასიამოვნო ფაქტია ის, რომ ჩვენს და ზოგადად, ყველა საბავშვო ბაღში დაინერგა HACCP-ის (ჰასპის) სტანდარტები, რაც თავისთავად გულისხმობს უსაფრთხო საკვებს და ჰიგიენის მაღალ სტანდარტებს. საბავშვო ბაღში განახლდა ჯგუფების ბიბლიოთეკა, თემატური სახელმძღვანელოები, კერძოდ, მულტიდისციპლინალური გუნდისთვის საჭირო ლიტერატურა. ამჟამად, ვიმყოფებით ავტორიზაციის გავლის ეტაპზე და სამომავლო სიახლეებიც იქნება, ბაღის საჭიროებიდან გამომდინარე.

66-ე ბაგა-ბაღში წარმატებით განხორციელდა „სასკოლო მზაობის" პროგრამა. პროფესიონალი აღმზრდელები დედობრივ

მზრუნველობას არ აკლებენ პატარებს. გაგაცნობთ ბაღის შემოქმედებით გუნდს. აღმზრდელები: **ანა გასპიანი, თამარ ნოშრევანიშვილი, ცირა მათიაშვილი, ნინო გიორგაძე, ირინე გოდერძიშვილი, ცირა მათიაშვილი, ნინო გიორგაძე, ირინე გოდერძიშვილი, ალექსაია, ლია ალადაშვილი, ეკატერინე თუშიშვილი** და **ნინო მწარიაშვილი**. აღმზრდელის თანაშემწეები: **ლალი ცისკარიშვილი, ანიცა ბელიაშვილი, ფიქრია კაპანაძე, ნატა ქუქიშვილი, ქეთევან ბენაშვილი, სოფიკო კოვზირიძე, ქეთევან ცუცქირიძე, თამარ გოგოძე, მაკა სოფრომაძე, დარინა დისამიძე, ნინო ანანიაშვილი, ხათუნა ყირიმელი, მაია ზოზიროვი, იამზე კვინიკაძე, მარიამ მღებრიშვილი, ეკატერინე მახარაშვილი, ხათუნა ალავერდაშვილი, ეკატერინე ვარდიაშვილი, ნაირა ჩიბურდანიძე, ასია ბაინდუროვი** და **ქეთევან დალაქიშვილი**.

ბაგა-ბაღის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით: დირექტორის მოადგილეებს - **ლია წამალაშვილს, ეთერ აბაშიძეს**, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორებს - **ანი გრიშაშვილს, მარინა დორეულს, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორს ნინო პეტრიაშვილს**, -ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორებს - **სოფიო ზაქარიაძეს, სოფიო ჯაბიძეს**, საქმისმწარმოებლებს - **ნინო გაფრინდაშვილს** და **მარინე ქოქოსაძეს**, ფსიქოლოგს **ემა გეგელაშვილს**, ლოგოპედს **ეთერ გაბრიჭიძეს**, სპეც. პედაგოგებს - **ეკატერინე ტორაძეს, მარინე ბეჟიაშვილს**; მუსიკის პედაგოგებს- **თამარ კოროშინაძეს, მაია პანიევს**, ცეკვის მასწავლებელს **ნინო პაპავას**.

დირექტორი მადლიერია მზარეულების საქმიანობით და ტექნიკური პერსონალის მომსახურებით, ესენია: **ნანული ქირია, გულნარა გოგობერაშვილი, ხათო ტომარაძე, ლეილა ჯანიაშვილი, ელმირა ბაინდუროვი, სუსანა არუთინოვი, ლეილა კანტიძე, მარინე აბიათარი, ლიანა მათიაშვილი, ლია წერეთელი, მაია ტვილდიანი, თამარ ჯამალაშვილი, ნანული მამაცაშვილი, თამარ ჩაჩანიძე, მარინე დიღმელაშვილი, მარინა პაპუაშვილი, მანანა კამალოვი, მალინა რამიშვილი, ლილი ჯამალაშვილი, ვახტანგ მაზმანოვი, გიორგი გრიშაშვილი, ელვარდი ბაგდასაროვი, მიხეილ უსტიაშვილი, ილია ჩიტიშვილი, ალბერტ კანანოვი** და **ზაურბეგი ჩიტიშვილი.**

66-ე ბაგა-ბაღის თითოეული თანამშრომელი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას და აღსაზრდელებს მზრუნველობას არ აკლებენ.

ანანო სამელია

პატრიოტების სიმღერა

აღარ გავუხდით მავანს მონებად
და დავიცავით თავი ვნებული,
მიტომ არიან გამწარებული
შეშფოთებული, მიშფოთებული.
აღარ დავკარგეთ ჩვენი მეობა,
დავრჩით ამაყი, ერი ქებული,
მიტომ არიან ეს „მეგობრები"
აღშფოთებული, შეშფოთებული.

კოეტი მოსე

დაგვიანებული რეპლიკა

რა დავარქვათ ამას?!

ძვირფასო პედაგოგებო, სკოლის დირექტორებო! გთხოვთ თანამშრომლობას. დამეხმარეთ, როგორ გავხსნა ეს „გორდიას კვანძი".

ფაქტი: მთავრობის დადგენილებით საქართველოს მასშტაბით **ათ** მასწავლებელს მიენიჭა და გადაეცა ეროვნული ჯილდო (საკმაოდ სოლიდური თანხა). წარმოიდგინეთ, მხოლოდ ათ პედაგოგს! თბილისის სკოლებიდან – ორს. ერთი მათგანია 126-ე სკოლის პედაგოგი **ნათია უჩავა**. ეს ფაქტი მარტო გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ" აღნიშნა. ორმაგად გამიხარდა. ერთი, ვალდებული ვიყავი, ჩვენ გაგვეშუქებინა ეს მოვლენა. მეორე, ჯილდოს მფლობელი წარმოშობით ჩემი კუთხის შვილია დასავლეთ საქართველოდან, დირექტორი **ირინე მჭედლიძე** და მისი მოადგილე **ქეთევან აბულაძე** თავიდან დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ჩემს განაზრახს. მარტო ნათიაზე არ გვექნებოდა საუბარი, სკოლის საქმიანობაზეც, სხვა პედაგოგის მიღწევებზეც.

ამის შემდეგ, ჩემდა გასაოცრად დირექტორმა და მოადგილემ ენაზე კლიტე დაიდეს. როგორც იქნა, ხმა მივაწვდინე, მომეცით **ნათიას** ტელეფონი, როგორმე მივულოცო-მეთქი.

საქმის მწარმოებელმა მითხრა: აკრძალული გვაქვს, ტელეფონის ნომრის გაცემაო?!

გაოგნებული ვარ, ვინ აკრძალა, რა მოტივით არ მაძლევს დირექცია ნათიას მისამართს? რა დავარქვათ ამას: **გულგრილობა, შური** თუ სხვა **ქვენა გრძნობები?** „რა საიდუმლო არს ამაში დამარხულ".

კოლეგებო, გთხოვთ დახმარებას ამის გარკვევაში!

P.S. სკოლის დირექტორებს, ვინც ამ რეპლიკას წაიკითხავს, ვთხოვ, შეატყობინოს ამის შესახებ 126-ე სკოლელებს.

მოსე მწერალი

მამულს — გული, უპირველეს ყოვლისა!

დალი შენგელია

ფიქრი მწუხრისა

ფიქრი მწუხრისა დაუშრეტელის,
გაშლილ მდელოზე ყაყაჩო ყვავის,
ნიშანი შავის,წითელი ფერის,
მომხდურთ ომები, სისხლისღვრა ავის.

რამდენი სისხლი დაღვრილა ველზე,
სამშობლოს დაცვით დაღლილი ერი,
არვის უთმობდა მიწის ერთ მტკაველს,
კვლავ ძალადობდა მტერი ცბიერი.

გამარჯვებები...., უკან დახევა....,
მტრისთვის ხაფანგის დაგება მუდამ,
მომავლის რწმენით,ხილული გრძნობა,
მტკიცე ქვეყანა აი, ეს სურდათ.....

მიწის ერთ გოჯსაც არვის უთმობდნენ,
ლოცვით, მუხლ-ჩოქვით ხატს ავედრებდნენ,
გადაერჩინათ სამშობლო მათი,
რწმენას ბრძოლაში,მტერთან ავლენდნენ.....

დიდგორის ბრძოლა თავგანწირული,
ბასიანური..., ნაშამქორალი....,
იქ ახალციხის მიწა მორწყული,
ახლა ველები სულ ნაყორღალი...,

გასდევს ყაყაჩო, შავ წითელ ლაქად,
ყოველ მიწის გოჯს, სისხლში მოზელილს,
რამდენ უმანკოს, ბრძოლის ამ ტალღამ,
გამოუფატრა გული, მუცელი.....

რაზე ფიქრობდა ქართველი ერი...?
ვისთვის უნდოდა ეს მიწა წყალი....,
მათ ძლიერ სწამდათ,თვის გენეტიკა...,
ბრძოლას აგრძელებს დღეს მომავალი..!

ყაყაჩო ყვავის, ფიქრის მდელოზე...,
მას როცა ვხედავ ბრძოლა ჩაღდება,
ეს ხომ წარსული არის ბედკრული....,
ოდეზღაც ბრძოლა სულ დამთავრდება.

პატრიოტები კიდევ ბევრია,
ერთიან ძალით შეუტევთ მზაკვრალს,
არ დავანებებთ,წართმეულ მიწებს
და ეს მსოფლიოც აუბნევს გზა-კვალს.

უძველესი და კვლავ მოჩუხჩუხე,
თბილი ქართულით კვლავ მოუბარი,
ყველა ერების სათნოდ მიმღები
ეს გენეტიკა წარსული არი.

იქედან მოგვდგამს, ტრადიციები,
უშრეტ ხელოვანთ ატყვია კვალი,
მჭერ-მეტყველება ქართული სიბრძნის,
მთელ მსოფლიოში, არსად არ არი.

ფიქრი..., მწუხრისა დაუშრეტელი,
გული ყოველთვის არსით მავალი,
არცერთ ქვეყანას არა აქვს ბრძოლის
მართლაც, ამდენი გადასავალი.....

ენით უშრეტი, მუხლით უდრეკი,
ქართული გენი ფრიად მართალი,
კვლავ აყვავდება ერთიან ძალით,
უფლისა გზებით მარად მავალი.....!!!

ანა დაისახე
სწორი მიზანი

თუ საქართველოს გადაშენება არ უწერია,
ვინ განიზრახავს მას წაართვას თავისუფლება..?
თუ საქართველო ჩაიჩოქებს..., განა ძნელია,
ისევ წამოდგეს, ისევ აღსდგეს,ეს მას უხდება.....!

დაცემას კვლავაც აღდგომა მოსდევს,უსასრულობით,
დაჩოქილს.., ვერა ვერ იხილავთ ქართულ გენიას,
რაც საქართველომ გადიტანა ამ სამყაროში,
მშურის, ბოღმის და ბოროტ მტარვალთგან მოგვითმენია..!

ხუთი ათასი წილს წინათაც,რომ არსებობდი,
ამ ისტორიას ახლა გვაწვდის, გრაკლიანთ სივრცე,
ეს საიდუმლო,უცხო მკვლევართა თაბახს ამშვენებს,
შენს მოშურნეს კი, ამის კვლევაზე აქვს დიდი სიცხე.....

მთელ სამყაროში,უძველესი, ნაშთთა მოდგმა გყავს,
სულისკვეთებით,შენს სიყვარულს ვერა ფარავენ,
ეწირებიან,შენს ტკივილზე, სივრცეთა წყობას,
გეგმას ადგენენ,დიპლომატიის გეგმას სახავენ....

ჩვენს საქართველოს გადაშენება არ უწერია,
რადგან ლომგულნი იზრდებიან,ვითარც ამირან,
აიშვებს მალე, კლდე სიყვარულით რაც დაცულია,
ამ სამყაროში, ქართველები შენთან არიან.....!

ორი პატრიოტული ლექსი

ნესტან ხარებავა

დედაენა

ტოტებხშირო, დაბუჩქულო ხეო,
ქართველების ცოდნის წყაროვ,ლხენავ,
გონებაში მოკაშკაშე მზეო
დედასავით ტკბილო,– „დედაენავ"!

სხვანაირად ვფიცავ, არ შემეძლო
გეფერები, გარწევ, გიმღერ ნანას...
ნეტა იმას, იმ წელს ვინც შეესწრო,
გაუმართლა, იაკობის ხანას.

მოწმე გახდა შენი დაბადების,
იღბლიანი იყო მათთვის წელი,
წელი სიბრძნის, სულის აღმაფრენის,
ვინც პირველად შემოგხვია ხელი.

განძი გაქვს და არ დაკარგო ერო,
მოგიწოდებთ! ხმა მთებს ექოდ ერთვის,
მოვუაროთ, ერთად ავამღეროთ
გოგებაშვილს რაც უქმნია ჩვენთვის!

დიდება იაკობ
გოგებაშვილს!

ქართველ ერს რომ გაეზარდა
საამაყო ბევრი შვილი,
ღმერთმა ქართველთ მოგვივლინა
იაკობ გოგებაშვილი.

დიდი ნიჭით შემკობილმა
შეგვაყვარა ტკბილი ენა,
ბავშვებს უსაჩუქრა წიგნი
მშობლიური „დედაენა".

„აი ია", „აი თითი" –
ტიტინებენ სხარტად სახლში.
თვალები სულ უციმციმებთ
გოგო-ბიჭებს, პირველ კლასში.

მზის სხივივით გზას გვინათებს
და სულს მატებს აღმაფრენას...
ვერაფერი შეედრება
იაკობის „დედაენას".

ალექსანდრე ლაზი

ილიას

ერის წყლული რომ მიგაჩნდეს,
შენის წყლულის, უფრო წყლულად,
გლახის სულით დადიოდე,
ამა სოფლად იყო მდგმურად...

მამად მოევლინე ერსა,
მოსარჩელედ და მართლის მთქმელად,
მამულს, თავზე ევლებოდი,
როგორც პირმშოს გულის ძგერად...

უგვირგვინო მეფე იყავ,
როცა მეფე აღარ გვყავდა,
საქართველოს შენი სახით,
გონიერი მცველი ჰყავდა...

შენს სამშობლოს, თავისუფალს,
ავედრებდი დედას ღვთისას,
ღამით მთვარე დაჰყურებდა,
შენს ნაფიქრალს, დღისით მზისას...

ვერ იტანდი შენ ბორკილებს,
გადამრჩენელს თუ გინდ ძმისას,
„გარიბალდიც" მიტომ გახდა
შენი ფიქრის ექო ხმისა...

„მესმის, მესმის სანატრელი,
ხალხთ ბორკილის, ხმა მტვრევისა,"
ღმერთო, აქაც გამაგონე,
ხმა ერის და ხმა ბერისა!!!

შენ რომ საქართველო ნახე,
ხერხემალი არის ისა,
და აპრილის გაელვებაც
შანთით ჩაჰკლეს, აქვე მყისსა...

გაგრძელება მე-11 გვ.

მეათე გვერდიდან

ვინც ჰყვარობდა შენს ნაფიქრალს
და ეძებდა ბილიკს მისას,
ყველა შენს გზას გაუყენეს,
როგორც ოდეს, ქრისტე - ჯვრისას...

თოფი, შენსკენ მომართული,
ჰქონდათ „უფალთ ამ ქვეყნისას",
ბერბიჭაშვილთ წიწამურთან
დაავალეს მოკვლა გზისას...

რადგან თავად, ჩვენს მამულში,
ეღრიაცათ, ეფეტლისათ,
რომ ქომაგი არ ჰყოლოდათ,
ჩვენი ერის, მოშიშთ ღმრთისა...

მერმე მოყვნენ და გაძარცვეს,
უღმრთოებმა, განძი ძმისა,
უცხო მხარეს მიმოფანტეს
საგანძური, არა ქვისა!!!

ვმადლობ უფალს, შენ რომ გვყავდი,
იმ ვარამში, მწყემსად ყრმისა,
მე, უთოფო დარაჯი ვარ,
ერთი მოყმე, ამ ქვეყნისა!

დიდგორის ბრძოლა

დიდგორის ველზე შემოფრთხა
სელჩუკთა ნაყარ-ნუყარა,
დასავლეთს ემუქრებოდნენ,
იბერთაც ჰქონდათ მუქარა...

ევროპის ამო „უფალთა"
გაცრილი ჰქონდათ ტანშია,
კარგად უწყოდათ სელჩუკთა
ცეცხლი, მახვილი გვარშია...

ხელმწიფე გვყავდა უებრო,
ნაწრთობი წიგნით, მკლავითა,
ჭყონდიდელს, არისტოტელეც,
ვერ დაუდგება თავითა...

მეფემან ბრძანა, შეკრება!
არა სუსტთა და სნეულთა,
ყოველი მხრიდან მოუხმო,
მხოლოდ მამაცთა, რჩეულთა...

დავით მე-4-მ ჩახერგა
მაცდუნებელი გზებია,
ხმალი მომართა საომრად,
ზურგს უმაგრებდა მთებია...

ორას ქართველნიც აკურთხა,
უშაშარნ, როგორც მგლებია,
მტრის ბანაკს უნდა ეახლოთ,
არ სჩანდეს თქვენი ხმლებია!

და როცა ორად გაიყო,
მტარვალთ ლაშქარტა ზვრებია,
მაშინ იშიშვლეს ქართველთა
გორდას ნაჭედი ხმლებია...

ილღაზი ედგა სათავეს
იმ კუალიციის ჯაბანთა,
ვერ შეაშინა სიმრავლით,
ქართული სული ჭაპანთა...

წმინდა გიორგი მუსრავდა,
მტერს, ზეციური მახვილით,
გარბოდნენ ბრძოლის ველიდან
დამფრთხალ, ჩასვრილნი ბღავილით...

ბრძოლა დასრულდა იმავ დღეს,
მესიის მახვილს რომ ჰგავდა,
ჭყონდიდის ეპისკოპოსი
და დავით მეფე რომ გვყავდა...

მადლობა უფალს, ქართველად
მომავლინა და მარჩინა,
მე იმ კოლხეთის შვილი ვარ,
ქუჯიმ რომ გადაარჩინა...

ლექსთაცვლა ღვანკითში

ნუგზარ კობერიძე

ბაღნარში

ბაღნარში ერთადერთ მერხზე
იჯდა მოხუცი ეულად,
ხელჯოხზე ჩამოყრდნობილი
ამაყად თავაწეულად.

იჯდა და ცას გასცქეროდა,
ვინ იცის, საით, ან რაზე
გასცდა ვარსკვლავებს ოცნებით,
ავიდა მეათე ცაზე.

ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა,
ფიქრს მიჰყვებოდა მხარდამხარ,
ბაღში სიჩუმეს არღვევდა,
შაშვის გალობა ხანდახან.

მოეჩვენა, თუ ნამდვილი
სიჩუმე კვლავ დგას ურდულად,
ლამაზი გოგო და ბიჭი
მოიპარება ქურდულად.

შეცბნენ, დაიბნენ ქალვაჟი,
თავი მარტონი ეგონათ,
რაღა ქნან აღარ იციან,
ანდა რა გამოეგონათ?

შუა აზარტში შეწყვიტეს
ხვევნა კოცნა და ალერსი,
მთლად დაებინდათ გონება
აღარც გალობის ხმა ესმით.

არ მოელოდნენ იქ მოხუცს
და დარჩნენ გაწბილებულნი.
გაბრუნდნენ უკან გულწყვეტით,
დაღონებ-დაფიქრებულნი.

მოხუცმაც იუხერხულა,
წამოდგომასაც ეცადა,
მაგრამ ვერ შეძლო, სიბერეს
თავისი გამოეცადა.

დასანანია ნამდვილად,
რომ იყვნენ ასეთ ამბავში,
წარსული ამოტივტივდა
მოხუცებულის აღქმაში.

ვინ იცის ასეთი სცენა
გადახდომია რამდენი,
ესენი ვერც იფიქრებდნენ
თვითონ რომ არის ჩამდენი

„დრონი მეფობსო" იტყვიან,
ფიქრობს ბოლოში გასული,
ამათზე უფრო ლამაზი
ვითომ არ მქონდა წარსული?

რა ბიჭი ვიყავ ერთ დროსო,
მუხლიც მიჭრიდა და თვალიც,
თავი მდიდარი მეგონა,
თუნდაც მქონოდა მე ვალიც.

სხვასთან ვერ ამხელს, გულში აქვს
თავისი გულის წადილი,
მასთან მოკვდება იდუმალ
მისი ამბავიც ნამდვილი.

ვინ მოსთვლის რამდენჯერა აქვს
ასეთი სცენა გავლილი,
რამდენჯერ წაუსწრიათ და
არ ჩაუგდიათ მანდილი.

ამიტომ სცადა ადგომა
თვითონაც რომ აქვს განცდილი,
სურდა, რომ მათთვის დაეთმო
სასიყვარულო ადგილი.

ვერ შეძლო, რადგან სიბერემ
თავისი ძალა გაიღო,
გული დაეწვა, დაღონდა,
ისევ ფიქრებმა წაიღო.

ჩემს ეზოში

ჩემს ეზოში იასამნის
და ვარდების სხივთა ფრენა
ყველა ტკივილს მავიწყებს და
ხდება სულის აღმაფრენა.
წვიმს და თავი დაუხრია
ვარდისაკენ იასამანს,
თითქოს ყურში ჩასჩურჩულებს
და თან იცავს საზღვარსამანს.
ვარდი კიდევ ამაყად დგას
ვერ აშინებს წვიმაქარი,
ყურს არ უგდებს რას ჩურჩულებს
შემოსწრებული სტუმარი,
წვიმამ უფრო მოუხშირა
და ამძიმებს იასამანს,
ვარდი მის ქვეშ მოკალათდა
თან იფარებს ხვთიურ საბანს.
დათბა დათბა ვარდისათვის,
იასამანს უკეთ უსმენს,
ყოველგვარი საუბარის
ტონაც უფრო კარგად უთმენს.
დაივიწყა ყველა დარდი,
ნეტავ თავს არ აიღებდეს,
არასოდეს ფიქრობს ვარდი,
წვიმას არ გადაიღებდეს.
ვისურვებდი ყველა ზღაპარს
ბედი ისე კარგად წყვეტდეს,
ჩაკონებულ იასამანს
ვარდთან ერთად, რომ მოწყვეტდეს.

რად გიყურებ

რად გიყურებ, ემაგ თვალებს მოიკითხე,
რომ იღვრება ხან დარად ხან ავდარად.
მე ვერ ვუძლებ გამოხედვას მედიდურს,
ვხარობ, როცა გამიღიმებ ალალად.

რა ვიღონო თუ ოხერი თვალები
ჩემდაჭირად შენსკენ გადმოიხრება,
მეც არ მინდა შემოგხედო მალულად
არადა შენ გვერდზე ხედვა გიხდება.

როგორ შევძლო საოცრების შემყურემ
არ შეგხედო ვიტანჯო და ვეწამო,
ატმისფერად მოელვარე მშვენებას
თვალით მაინც არ მივწვდე და შევჭამო.

წამწამები მოციმციმე სიმები
წარბის ჩრდილში იმალება ხან ჩნდება,
აქეთაც რომ მოიხედო ამ გულში
ჩამეკითხო – რა ტრიალებს, რა ხდება.

მაშინ, ალბათ, მიხვდებოდი ჩემს ტანჯვას,
რა მიჭერდა გულში ასე მარწუხებს,
ყოველივეს განიცდიდი ჩემსავით,
გაიგებდი თუ რა სენიც მაწუხებს.

ნაკლი

უნაკლო ხარ მშვენიერო
ნაკლს ვერ ნახავს კაცი შენში
სწორედ ნაკლით
განირჩევი
საოცნებოვ დანარჩენში

მგონი გაჩნდა ინტერესი
რა ნაკლი გაქვს რა მინუსი
რას გითვლიან ნეტავ ნაკლად
მფლობელს ამდენი პლიუსის

აჰა გეტყვი ვიცი რომ შენც
დაინტერესებული ხარ
დიდი ნაკლი,რომელიც გაქვს
ის არის,რომ შენ სხვისი ხარ.

ჩემი ინტეგრალები

დანისლული ფიქრები, სევდიანი თვალები
ცრემლი შეუკავები, დარდი შეუდარები
ავსებული ფიალა ავსებული გორალები,
მოდით გამოიცანით ჩემი ინტეგრალები.

გარდასული ჟამი და დარჩენილი ღარები
ფიქრი ასჯერ ნაფიქრი,ათასჯერ ნაზმანები
გაფრენილი ოცნება ძველი ნაიარები
მოდით გამოიცანით ჩემი ინტეგრალები

მიღწეულის ხიბლი და გადახდილი ვალები
შეცნობილი სიმღერა შეიუცნობი ქნარები
დაკარგული იმედი
გულში უცხო ბზარები,
მოდით გამოიცანით ჩემი ინტეგრალები

ყველა დარდის თავმოყრა ერთის შედარები
სული წმინდა,ფაქიზი, წრფელი-ნაზიარები
მაინც ხვალის იმედი ისევ გადახრები,
მოდით გამოიცანით ჩემი ინტეგრალები.

ნაუბრი წყალი

(ვუძღვნი ლუბა ბებიას)

ნაუბრებს თუ ნასაუბრებს
უმსგავსოს თუ მსგავსს,
რაო წყალსაც ენა აქვს თუ
შენ არა სცემ ხმას

დიდ ხუთშაბათს ავიღოთო
ჩვენ ნაუბრი წყალი
წესი არის ასეთი
თუ, ღვთის გვმართებს ვალი?

ყველა წყალი შეიძლება?
ზოგი მოდის მთიდან
წყაროს წყალი,
მხოლოდ წყაროს არა არა ჭიდან!

რატომ წყაროს?
იმიტომ,რომ ლაპარაკი იცის
რაკრაკებს და ისე მოდის,
თქმა არ გინდა ფიცის.

ჰოდა თუ კი ეუბრები –
მუნჯთან რა გაქვს საუბრო,
წყალი უბრად იქ აიღე
ვისთანაც სულ საუბრობ.

ვერცხლი

კაცობრიობის ბაღნარში
ვერცხლი არის ერთადერთი
საიდანაც წარმოდგება
ცოდვა-მადლი, თუნდაც ღმერთი

ჯერ იყო და გაიყიდა
ქრისტე-ღმერთი ვერცხლის ფასად
და მის შემდეგ გადაიქცა
ოცდაათი ას ათასად

დღესაც ვერცხლი დაბოგინობს
იგი არჩევს მტყუან-მართალს
სამართალი იქეთ არი
საითაც დგას ვერცხლის მასა

მინა როცა მოიგონეს
საჭირო და მეტად კარგი
მრავალფერი და ნარნარი
კაცის ხელით მონაქარგი

სულ ვიყენებთ სანიმუშოდ
გარეთ წვიმს და შიგნით არა
სახლიდან ჩვენ ნათლად ვხედავთ,
დათბა თუ გამოიდარა

აქაც ვერცხლი ჩაერია
გადააკრეს მინას ზედა
გამოვიდა მშვენიერი
სარკე თეთრი მინაზედა

ჩაიხედავ თავს უყურებ
გარეთ კიდევ ვერას ხედავ
მხოლოდ შენს თავს ილამაზებ
გარეთ ვერცხლი გიშლის ხედვას.

ლიტერატურული გვერდი

მადლობის წერილი

ზურაბ მამულაშვილი

ეს *მადლობის წერილი ეკუთვნის იმ ადამიანებს, ვინც ჩემს ჯანმრთელობაზე იზრუნეს და გადამარჩინეს. დიახ, მეგობრებო, წელს 1.07.2024-ში დამჭირდა სასწრაფო ოპერაცია, რამაც წარმატებით ჩაიარა და მისი მთავარი გმირი, შესანიშნავი ქირურგი, ბატონი* ***შალვა გიუაშვილი*** *გახლავთ. დიახ, კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა დასტაქარ ბატონ* ***შალვა გიუაშვილს*** *და ალადაშვილის სახელობის კლინიკის ყველა მედპერსონალს, ვინც წვლილი შეიტანა ჩემი ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში.*

ეს ორი მოკრძალებული ლექსი კი ეკუთვნის იმ ახალგაზრდა მედდებს და სტუდენტებს, ვინც ყოველდღიურად შემოდიოდნენ ჩემს პალატაში და ჩემს გამოჯანმრთელებაზე ზრუნავდნენ.

ანას და ანის

ანა და ანი, ანა და ანი,
ეს ორი გოგო, ეს ორი ქალი,
სტუდენტები და თან მეგობრები
იმედი დღეის, იმედი ხვალის.

ანა და ანი, ანა და ანი,
ორივე დილის ია და ვარდი,
ისეთი სანდო, ისეთი სწრაფი,
როცა მათ ვუცქერ, მიქრება დარდი.

გადასარევი პროფესია აქვთ,
თუმცა ძალიან პასუხსაგები,
სიყვარულისთვის გული ღია აქვთ,
მუდამ მიმნდობი, მუდამ საქები.

ეს არის მათი ცხოვრების წესი,
ეს არის მათი გულის კარნახი,
სიცოცხლის წყარო მათით გადმოდის
და მათ სულებში რწმენად გადადის.

თქვენ კალთას ყველას გადააფარებთ,
რადგან ექიმის დიდ ფიცს ასრულებთ,
თქვენა ხართ ჩვენი რწმენის სათავე,
ეს ლექსიც მიტომ დაიმსახურეთ.

ნინო ხოფერიას

დაგოგმანობ, როგორც წმინდა
ნინო კაბადოკიელი,
ხარ, უფლისგან შექმნილი და
ლამაზი და მშვენიერი.

ალბათ მალე, შენი ნიჭით,
შენი ცოდნით, შენი ხელით,
ვიამაყებთ ჩვენ ყველა და
იამაყებს მთელი ერი.

ექიმობა არის კარგო
საამაყო პროფესია,
სხვის ჯანმრთელობაზე ზრუნვა,
ქალაქად თუ სოფელშია.

მომწონს შენი ყურადღება,
გულიანი დახმარება,
ღმერთმა გზები გაგინათოს,
გქონდეს მუდამ გახარება.

მეტი რაღა უნდა გითხრა,
გულს ნათელი მოგფენია,
ქართველ ქალის ნიმუში ხარ,
ჩვენო ნინო ხოფერია.

იოანე აბულაშვილი-ბებაბუშვილი

გაზეთ „სახალხო განათლებას+"-ის რედაქციას

უკვე ორი წელია
რაც, მე თქვენთან ვმეგობრობ,
თქვენს გაზეთში ყოველთვის –
მწერალთა სიტყვა ბობოქრობს.

ჩვენი ქვეყნის განათლება
აამაღლოთ გინდათ;
პედაგოგებს, მოსწავლეებს,
იმედს აძლევთ დიდად.

ემსახურებით კარგ საქმეს:
მონდომებით, მშვიდად,
ნეტავ თქვენი გაზეთი
არსებობდეს დიდხანს.

საჭიროა ნამდვილად,
ბავშვთა აღზრდას უნდა
დიდი ყურადღება,
მოსწავლეებს თუნდაც.

თქვენ აფასებთ მწერლობას
პოეზიას, პროზას,
სამშობლოს ერთგულ მხედრობას,
მუდამ სიმართლე ჰქონდათ.

მასწავლებელთა შრომას
თქვენ აფასებთ მუდამ
მაგ თქვენს გაზეთს სანიმუშოს,
კითხულობდეს მუშაც.

ვიცი, რომ თქვენს გაზეთს
ეკონომიკურად უჭირს,
შრომა-გარჯის გაგრძელება
უანგაროდაც გიღირთ.

ვისურვებდი ეგ პრობლემა
აღმოფხვრილიყოს მალე.
მომავალის იმედით,
გათენდებოდეს ხვალე.

საღვთო გზაზე იარეთ,
წინსვლა გქონდეთ დიდი,
გააგრძელეთ ეგ საქმე
ცხოვრება იყოს მშვიდი.

გაუმარჯოს ამ გაზეთს,
გაეხარებინოს ერი,
ვისურვებდი ყოველთვის –
– გყავდეთ მკითხველი ბევრი.

მადლობის წერილი

ოთარ ჯაში — 59

ოთარ ჯაში (იურისტი) 21 დეკემბერს 59 წლის გახდება. ოჩამჩირელთა კავშირი „ერთობა" ულოცავს დაბადების დღეს და უსურვებს ჯანმრთელობას, წარმატებებსა და წინსვლას, როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050
აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე
593 422 258
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი"
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;
ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N6 (4622)
27 ნოემბერი / 2024 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან
ISSN 1987-9113